

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

**სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებით შექმნილი
სატენდერო კომისიის სხდომის**

ოქმის №1

*02 ივნისი, 2016 წელი
ქ. ზუგდიდი (რუსთაველის ქ. №90)*

სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე

ედიშერ თოლორაია _ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი;

სატენდერო კომისიის წევრები

თენგიზ შანავა _ ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;

ნანი მიქენაია _ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

თენგიზ ქობალია _ ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის
სამსახურის უფროსი;

რუსლან კილასონია _ ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის
სამსახურის უფროსი;

ჯაბა არდია _ მშენებლობის სამსახურის უფროსი;

მაია ჩიტაია _ კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ
საქმეთა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი;

სატენდერო კომისიის აპრატის წევრი

ბესიკ ქარდავა _ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი;

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა კომისიის შემადგენლობის უმრავლესობით _ შვიდი
წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი

*ზუგდიდის მუნიციპალიტეტის აბასთუმნის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების
სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საექსპერტო
მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით ელექტრონული ტენდერის ჩატარების
შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა-დამტკიცება.*




მოისმინეს: სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე სატენდერო კომისიის თავმჯდომარის
ე. თოლორაიას ინფორმაცია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის აბასთუმნის ადმინისტრაციულ ერთეულში
წყალმომარაგების სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის
საექსპერტო მომსახურების შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით და კომისიას განსახილველად
გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების განცხადების ტექსტი და სატენდერო
დოკუმენტაცია წარუდგინა.

სხდომის მსვლელობა: სატენდერო კომისიამ განიხილა სატენდერო განცხადებისა და სატენდერო
დოკუმენტაციის პროექტები. დაადგინა ტექნიკური დავალების მონაცემები, საკვალიფიკაციო
მოთხოვნები, ხელშეკრულების პირობები და პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი სატენდერო
წინადადების ფორმები. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 500 (ხუთასი) ლარით.


კომისიამ გადაწყვიტა: „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის
შესაბამისად დამტკიცდეს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის აბასთუმნის ადმინისტრაციულ ერთეულში
წყალმომარაგების სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის
საექსპერტო მომსახურების შესყიდვაზე წარმოდგენილი განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია
(ტენდერის ჩატარების განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაცია თან ერთვის).

დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს: უზრუნველყოს ტენდერის ჩატარების თაობაზე განცხადების განთავსება და სატენდერო დოკუმენტაციის ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge).

კომისიის წევრები:

- | | |
|---|---|
| 1.  ე. თოლორაია (თავმჯდომარე). | 5.  რ. კილასონია. |
| 2.  თ. შანავა. | 6.  ჯ. არდია. |
| 3.  ნ. მიქენაია. | 7.  მ. ჩიტაია. |
| 4.  თ. ქობალია. | |

კომისიის აპარატის წევრი:

- | | |
|--|-------------|
| 1.  ბ. ჯარდავა. | ბ. ჯარდავა. |
|--|-------------|